

ა.ა.ი.პ „საქართველოს რაგბის კავშირი“-ს  
სადისციპლინო კომისიის სხდომის ოქმი № 44

ქ.თბილისი

2021 წლის 24 აპრილი

სადისციპლინო კომისიის სხდომა ჩატარდა 2021 წლის 24 აპრილს, დისტანციურ სამუშაო რეჟიმში.

სადისციპლინო კომისიის სხდომა მოწვეულ იქნა კომისიის თავმჯდომარის დავალებით, სადისციპლინო კომისიის წევრებისთვის შეტყობინებისა და დღის წესრიგის გაგზავნის გზით.

სხდომას ესწრებოდა კომისიის 7 წევრი. სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის მე-5 მუხლის 5.11. პუნქტის თანახმად, სხდომა გამოცხადდა გადაწყვეტილებაუნარიანად, ამის გამო არცერთ დამსწრე წევრს პრეტენზია არ გამოუთქვამს.

**სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრები:** მირიან თავზარაშვილი, ედუარდ ნაჭყებია, ვახტანგ სამხარაძე, აკაკი კერესელიძე, ლევან ჩიკვაძე, ლაშა თავართქილაძე, ირაკლი ჩიქავა.

სხდომას უძღვებოდა კომისიის თავმჯდომარე, მირიან თავზარაშვილი.

სადისციპლინო კომისიამ ზემოაღნიშნული შემადგენლობით, განიხილა მატჩის მეთვალყურის გ. ქერაშვილის ოქმი, მატჩის მთავარი მსაჯის თ. ალავეძის წითელი ბარათის ოქმები, კიდის მსაჯის რ.რატვიანიის მოხსენებითი ბარათი, ამა წლის 17 აპრილს, ჭაბუკთა „ა“ ლიგის მატჩზე, რუსთავის „ხარები“-სა და ბათუმის „ბათუმი“-ს შორის, მომხდარი ფაქტის შესახებ.

**გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :**

1. რუსთავის „ხარები“-ს მორაგბე ნიკა ნარიმანიძე - კონფლიქტის პროვოცირება.
2. ბათუმის „ბათუმი“-ს მორაგბე დიმა აბაშიძე - კონფლიქტის პროვოცირება.

სადისციპლინო კომისიამ იხელმძღვანელა სრკ სადისციპლინო კოდექსის 2.2.7, სრკ სადისციპლინო კოდექსის დანართი # 1-ს 2.7 პუნქტებით და მიიღო შემდეგი

**გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა**

1. რუსთავის „ხარები“-ს მორაგბე ნიკა ნარიმანიძე დისკვალიფიცირებული იქნას 3(სამი) სათამაშო კვირით.
2. ბათუმის „ბათუმი“-ს მორაგბე დიმა აბაშიძე დისკვალიფიცირებული იქნას 3(სამი) სათამაშო კვირით.

სრკ სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარე



/მ.თავზარაშვილი/